საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

მომართვის ავტორი: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე - ლ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.08.2017

საჩივრის რეგისტრაციის №117/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ხ.-ის მიმართ /სიითი №..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ხ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **მომართვის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 16 აგვისტოს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას კერძო განჩინებით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ლ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. ხ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომართვის ავტორის განცხადებით, მის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულის, ნ. ა.-ის მიმართ, რომელზეც მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა. 2018 წლის 19 ივლისს, სასამართლო სხდომაზე, ბრლდებულ ნ. ა.-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ა. ხ.-მ დაარღვია წესრიგი სხდომის დარბაზში, არ დაემორჩილა მოსამართლის განკარგულებას და გამოავლინა სასამართლოსადმი უპატივცემულობა. კერძოდ, მოწმის დაკითხვის დროს ადვოკატმა ა. ხ.-მ მოსამართლის მოქმედების მიმართ გამოხატა უკმაყოფილება, რაზეც მოსამართლემ ზეპირი შენიშვნა მისცა მას და მოუწოდა შეეწყვიტა განცხადების გაკეთება, იმავდროულად მიუთითა, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში გამოიყენებდა საქართველოს სსსკ-ის 85-ე მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, მაგრამ ა. ხ.-მ კვლავ გააგრძელა განცხადების გაკეთება, რის გამოც დაჯარიმებულ იქნა 100 ლარით. დაჯარიმების შემდეგ ადვოკატმა კვლავ განაგრძო არასათანადო ქცევა, არ დაემორჩილა მოსამართლის განკარგულებას, რაც სასამართლოს მხრიდან აღქმულ იქნა აშკარა უპატივცემულობად და სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლის განკარგულებით, გაძევებულ იქნა სხდომის დარბაზიდან.

1.3 მომართვის ავტორის განცხადებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 2 აგვისტოს განჩინებით ა. ხ.-ის საჩივრები არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის 2018 წლის 19 ივლისის განკარგულება ადვოკატ ა. ხ.-ის 100 ლარით დაჯარიმების თაობაზე, ასევე უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო წინასასამართლოს სხდომისა და არსებითი გახილვის კოლეგიის მოსამართლის 2018 წლის 19 ივლისის განკარგულება ადვოკატ ა. ხ.-ის დაჯარიმებისა და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების თაობაზე.

1.4 სასამართლომ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ა. ხ.-მა დაარღვია, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნა სასამართლოში წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით, მან ასევე დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ა. ხ.-მა ადვოკატთა ეთიკის კომისიაში 2018 წლის 4 სექტემბერს წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ მოსამართლე ლ. მ. განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს ბრალდებულ ნ. ა.-ის მიმართ. 2018 წლის 19 ივლისს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე იკითხებოდა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მოწმე გ. ხ.. მოწმის დაკითხვის პროცესში, მოსამართლე ლ. მ.-მ მოწმეს მხარეებთან შეთანხმების გარეშე დაუსვა შეკითხვა.

2.2 ადვოკატი ა. ხ. განმარტავს, რომ შეკითხვა იყო იმგვარად ფორმულირებული, რომ მოსამართლე ლ. მ. აშკარად გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას, როგორც ბრალდებულის ასევე, მოწმის მიმართ. ადვოკატმა ა. ხ.-მა სასამართლო სხდომაზე გამოთქვა პროტესტი და მოითხოვა კითხვის განრიდება იმ მოტივით, რომ მოსამართლეს მხარესთან შეუთანხმებლად არ ჰქონდა მოწმისათვის დამაზუსტებელი შეკითხვის დასმის უფლება.

2.3 ადვოკატი ა. ხ. აღნიშნავს, რომ მის მიერ პროტესტის გამოთქმამ გამოიწვია მოსამართლე ლ. მ.-ის გაღიზიანება, კერძოდ, ამ უკანასკნელმა შეაწყვეტინა მას შუამდგომლობა კითხვის განრიდების თაობაზე და დაემუქრა, რომ თუ არ გაჩუმდებოდა დააჯარიმდებდა.

2.4 ადვოკატი ა. ხ. განმარტავს, რომ იგი დაელოდა მოსამართლის საუბრის დასრულებას და სთხოვა მიეცა მისთვის განცხადების გაკეთების შესაძლებლობა, რაზეც მიიღო კვლავ უარი და დაჯარიმების მუქარა. შემდეგ ადვოკატმა ა. ხ.-მა კვლავ მოითხოვა პროტესტის დაყენების შესაძლებლობა, თუმცა საპასუხოდ მოსამართლისგან კვლავ დაჯარიმების მუქარა მიიღო. შემდეგ ადვოკატმა ა. ხ.-მა მოსამართლეს დაუსვა კითხვა, კერძოდ, ჰქონდა თუ არა დაცვის მხარეს საპროცესო კოდექსის მიხედვით კითხვის განრიდების შუამდგომლობის დაყენების უფლება, რაზეც მოსამართლე ლ. მ.-მ განუმარტა, რომ მხარეს აღნიშნული უფლება ჰქონდა, მაგრამ მას არ მისცემდა სიტყვის თქმის უფლებას, ამასთანავე დაამატა, რომ ჩუმად მჯდარიყო მთელი პროცესის განმავლობაში და ხმა არ ამოეღო, წინააღმდეგ შემთხვევაში დააჯარიმებდა. ადვოკატმა დააზუსტა შეკითხვა და იკითხა, უზღუდავდა თუ არა მოსამართლე ლ. მ. თავისი სუბიექტური მოსაზრებით მას პროცესზე საუბრის უფლებას, რაზეც მოსამართლემ კვლავ განუმარტა, რომ თუ პროცესის განმავლობაში ხმას ამოიღებდა, დააჯარიმებდა. კონრეტულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატმა ა. ხ.-მა საპასუხოდ განაცხადა, რომ მოსამართლე ლ. მ.-ის მიერ ხდებოდა დაცვის უფლების შეზღუდვა, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. შედეგად, მოსამართლემ მიიღო განკარგულება ადვოკატ ა. ხ.-ის 100 ლარით დაჯარიმების თაობაზე, იმ მოტივით, რომ თითქოსდა იგი უხეშად არღვევდა წესრიგს და არ ემორჩილებოდა მოსამართლის განკარგულებას.

2.5 ადვოკატი ა. ხ. აღნიშნავს, რომ დაჯარიმების შესახებ განკარგულების გამოცხადების შემდეგ, მან კვლავ სთხოვა მოსამართლეს მიეცა მისთვის განცხადების გაკეთების შესაძლებლობა, რასთან დაკავშირებითაც მოსამართლემ განუმარტა, რომ მას საუბრის უფლებას არ მისცემდა. ადვოკატი ა. ხ. განმარტავს, რომ მან დაკონკრეტებული შეკითხვით მიმართა მოსამართლეს - ზოგადად არ მისცემდა საუბრის უფლებას თუ მთელი პროცესის განმავლობაში, რაზეც მოსამართლემ განუცხადა, რომ მთელი პროცესის განმავლობაში უკრძალავდა ხმის ამოღებას და თუ არ დაემორჩილებოდა, სხდომის დარბაზიდან გააძევებდა.

2.6 აღნიშნულთან დაკავშირებით ადვოკატმა ა. ხ.-მა მოსამართლე ლ. მ.-ს განუცხადა, რომ თუკი მთელი პროცესის მიმდინარეობისას არ მიეცემოდა საუბრის შესაძლებლობა იგი ვერ განახორციელებდა ადვოკატის მოვალეობას, შესაბამისად აზრი არ ჰქონდა მის პროცესში მონაწილეობას და გაეძევებინა იგი სხდომის დარბაზიდან ან თვითონვე დატოვებდა სხდომას პროტესტის ნიშნად. საპასუხოდ, მოსამართლე ლ. მ.-მ მიიღო განკარგულება ადვოკატ ა. ხ.-ის სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ.

2.7 ადვოკატმა ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 27 სექტემბერს დაადასტურა ახსნა-განმარტებაში მითითებული გარემოებები.

3. ადვოკატის მოწმის თ. პ. ს განმარტება:

3.1 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის 2018 წლის 10 ოქტომბერის სხდომაზე ადვოკატის მოწმემ თამარ პატიეშვილმა განმარტა, ის ადვოკატ ა. ხ.-თან ერთად იცავს ბრალდებულ ნ. ა.ს. მოწმის განმარტებით, ამ შემთხვევის წინაპირობა იყო ის, რომ ამავე საქმეზე, წინა სხდომაზე, როდესაც იკითხებოდა დაზარალებული, მოსამართლემ პროკურს პირდაპირ უთხრა, რა უნდა ეკითხა მას დაზარალებულისათვის. მოსამართლის ამ მოქმედებამ გამოიწვია მათი, ბრალდებულის ადვოკატთა პროტესტი, რაც მოსამართლეს არ მოეწონა. შემდეგ სხდომაზე, როდესაც იკითხებოდა მათი მხარის მოწმე, მოსამართლემ დასვა შეკითხვა შემდეგი ფორმულირებით: ,,როგორ, თქვენ მთელი რამის განმავლობაში იყავით ბრალდებულთან ერთად და როგორ არ დაგინახავთ ეს ტატუ მის სხეულზე". მისი, როგორც ადვოკატის აზრით, შეკითხვა თავის თავში მოიცავდა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას, რაც ეწინააღმდეგებოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობას. შესაბამისად, ამის გაპროტესტება სცადა ადვოკატმა ა. ხ.-მა, რასაც მოჰყვა მოსამართლის აგრესია. მან არათუ დაასრულებინა ადვოკატს პროტესტის გამოხატვა, არამედ მთელი პროცესის განმავლობაში აუკრძალა ხმის ამოღება.

3.2 მოწმის განმარტებით, მათ მოსამართლის განკარგულება გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ როდესაც მოუსმინეს სხდომის ჩანაწერს, აღმოაჩინეს, რომ ის სიტყვები, როდესაც მოსამართლემ ადვოკატ ა. ხ.-ს მთელი პროცესის განმავლობაში აუკრძალა საუბარი, არ ისმის. ოქმს ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

4.1 ადვოკატი ა. ხ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი სიითი / N..../ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

4.2 თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლ. მ.-მ ეთიკის კომისიას კერძო განჩინებით მომართა 2018 წლის 16 აგვისტოს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წლის 19 ივლისს. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ხ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხსიმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30 მუხლის პირველი პუნქტით გათვლისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 საქმეში წარმოდგენილი მასალებითა და მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ადვოკატი ა. ხ. 2018 წლის 19 ივლისს გამართულ სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, რომლის ფარგლებში იგი იცავდა ბრალდებული ნ. ა.-ის ინტერესებს, მოსამართლე ლ. მ.-მ ჯერ დააჯარიმა და შემდეგ გააძევა სხდომის დარბაზიდან, სასამართლოსადმი აშკარა უპატივცემულობის გამოვლენის გამო. ეთიკის კომისიის შეფასების საგანს წარმოადგენს დაარღვია თუ არა ადვოკატმა ა. ხ.-მა პროფესიული ქცევის წესები:

5.2.1 ადოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხი ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.“

5.2.2 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტი, „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

5.3 ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტი და წარმოადგინოს მისი კანონიერი ინტერესები, მხოლოდ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. კლიენტის ინტერესი არ არის აბსოლუტური და ის არ გულისხმობს მისი დაცვისას კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფას და იგნორირებას. ასევე, პროცესის მონაწილე სხვა სუბიექტთა უფლებების შეზღუდვას ადვოკატის მიერ. სასამართლო დარბაზში წესრიგის დარღვევა და სასამართლოს მითითებებისადმი დაუმორჩილებლობა არ შეიძლება გამართლებული იქნეს კლიენტის ინტერესების დაცვით. თუნდაც ადვოკატი დარწმუნებლი იყოს, რომ მისი ქმედება შესაბამისობაშია საპროცესო კანონმდებლობასთან. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები სასამართლოში დადგენილი ქცევის წესებით და პროცესუალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული, რისი დაცვის ვალდებულება ასევე ეკისრება ადვოკატს. ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლის პროფესიული ვალდებულებები სასამართლოს მიმართ, უნდა ეფუძნებოდეს მართლმსაჯულების ინტერესს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებასა და ღირსებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე ეთიკის წესების დაცვას. დაცვის უფლების განხორციელებისას, ადვოკატი შეზღუდულია კანონითა და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით.

5.4 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, ,,ადვოკატი არის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით იცავს ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ინტერესებს და უწევს მათ იურიდიულ დახმარებას.“ ამავე კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, ,,ადვოკატს არა აქვს უფლება, იმოქმედოს ბრალდებულის მითითების და ინტერესების საწინააღმდეგოდ.“ ხსენებული ნორმის შინაარსით დადგენილია ადვოკატის სამართლებრივი მდგომარეობა სამართალწარმოების პროცესში, რაც გულისხმობს ადვოკატის ვალდებულებას ყველა კანონიერი საშუალების და ხერხის გამოყენებით დაიცვას კლიენტი. ადვოკატის მოქმედებები შეზღუდულია ბრალდებულის მითითებებითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით. ადვოკატი ვალდებულია დამოკიდებული იყოს დასაცავი პირის პოზიციაზე. იმის გათვალისწინებით, რომ

ბრალდებულს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებთან, ასევე სასამართლო ხელისუფლებასთან, სათანადო ურთიერთობის განხორციელებისთვის საჭირო სამართლებრივი განათლება (სამართლებრივი ნორმის ცოდნა და სათანადოდ გაგება) ან პროფესიული გამოცდილება შესაძლოა არ გააჩნდეს, ადვოკატი მოვალეა კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ფარგლებში სათანადოდ შესთავაზოს მას სტრატეგია დაცვის უფლების უკეთ განხორციელებისთვის. ადვოკატის მნიშვნელოვანი ფუნქციაა ბრალდებულის ინტერესები და შესაბამისი მოთხოვნები კანონიერ ფარგლებში მოაქციოს და ყველა ნორმის დაცვით წარადგინოს ისინი მოსამართლის წინაშე.

5.5 წარმოდენილ საქმეში მომართვის ავტორის მოსამართლე ლ. მ.-ის პრეტენზიის საფუძველს წარმოადგენს ის გარმოება, რომ 2018 წლის 19 ივლისს სასამართლოს სხდომაზე ნ. ა.-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ა. ხ.-მა დაარღვია წესრიგი სხდომის დარბაზში, არ დაემორჩილა მოსამართლის განკარგულებას და გამოავლინა სასამართლოსადმი უპატივცემულობა, გამოხატა რა, მოსამართლის მოქმედების მიმართ უკმაყოფილება. 2018 წლის 10 აგვისტოს N1/673-18 კერძო განჩინებაში აღნიშნულია, რომ ზეპირი შენიშვნის შემდეგ, პროცესზე გამოვლენილი განგრძობადი ხასიათის მქონე არასათანადო ქცევის გამო, ადვოკატი ა. ხ. თავდაპირველად დაჯარიმდა 100 ლარით და შემდეგ მოსამართლის განკარგულების შესაბამისად, გაძევებულ იქნა სხდომის დარბაზიდან.

5.6 ადვოკატ ა. ხ.-ის განმარტებით, მოსამართლე ლ. მ.-მ მას დაუსაბუთებლად შეუზღუდა კლიენტის დაცვის შესაძლებლობა, ვინაიდან არ მისცა უფლება დაეყენებინა შუამდგომლობა მოსამართლის მიერ მხარესთან შეუთანხმებლად მოწმისათვის დასმული დამაზუსტებელი შეკითხვის განრიდების თაობაზე. ადვოკატი განმარტავს, რომ არაერთი მცდელობის მიუხედავად გამოეთქვა პროტესტი და გაეკეთებინა განცხადება, მოსამართლე ლ. მ. მას ამის შესაძლებლობას არ აძლევდა, უკრძალავდა რა ხმის ამოღებას, დაჯარიმების მუქარით. ადვოკატის განმარტებით, ბრალდებულის დასაცავად წარმოთქმულ ყოველ სიტყვას თან სდევდა დაჯარიმების მუქარა, რაც საბოლოოდ მოსამართლე ლ. მ.-მ განახორციელა კიდეც და ჯერ დააჯარიმა, შემდეგ სხდომის დარბაზიდან გაამევა.

5.7 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, 2018 წლის 19 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმიდან იკვეთება, რომ ადვოკატი ა. ხ. კანონით გათვალისწინებული გზებით ცდილობს იმ შეკითხვის განრიდებას, რომელიც მოსამართლემ დაუსვა მოწმეს ისე, რომ ეს მხარეებისათვის არ შეუთანხმებია. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის ქმედება თანხვედრაში იყო დაცვის უფლების განხორციელების უპირატეს უფლებასთან. ადვოკატის მიზანს წარმოადგენდა კლიენტის დაცვის განხორციელება და არა სასამართლოს შეურაცხყოფა. კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ სასამართლო სხდომაზე არ გაჟღერებულა ისეთი ფრაზა, რომლის შინაარსიც იქნებოდა სასამართლო სისტემის შეურაცხმყოფელი. ადვოკატის მიზანი იყო კლიენტის დაცვა და ის მოქმედებდა კლიენტის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით.

5.8 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მოსამართლე ლ. მ.-ის მიერ ადვოკატ ა. ხ.-ისათვის საუბრის აკრძალვა, წარმოადგენს ადვოკატისათვის დაცვის უფლების განხორციელების შეზღუდვას. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. ხ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მის მიზანს წარმოადგენდა კლიენტის დაცვა და არა სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა.

5.9 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 33–ე მუხლით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N117/18 ადვოკატ ა. ხ.-ის მიმართ /სიითი N ...../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/